gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი
Georgian Water and Power

ჯანდაცვა, უსაფრთხოება და სხვა პრივილეგიები GWP-ის თანამშრომლებისთვის

მატერიალური დახმარება და წახალისება

კომპანიის ადმინისტრაციასა და პროფკავშირს შორის გაფორმებულ "კოლექტიურ შეთანხმებაში" 2009 წლის მაისიდან რამდენიმე სასიკეთო ცვლილება შევიდა:

- თანამშრომლებისთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის მიზნით, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად "ჯორჯიან უოთერ & ფაუერი" პროფკავშირს, ყოველთვიურად, 2500 ლარს ურიცხავდა, 2010 წლიდან კი 3500 ლარს გადაურიცხავს.

- "ჯორჯიან უოთერ & ფაუერის" ადმინისტრაცია მატერიალურ დახმარებას უწევს იმ თანამშრომელს, რომელსაც შვილი შეეძინება. პირველ შვილზე – 200 ლარი; მეორე შვილზე – 400 ლარი; მესამე და მეტ შვილზე – 800 ლარი, ხოლო ტყუპებზე – 500 ლარი.

- თანამშრომელთა კუთვნილი შვებულება, 2009 წლიდან, 27-დღიანი გახდა - კომპანიის ადმინისტრაციამ 24 დღეს 3 დღე დაუმატა.

- კომპანიის ადმინისტრაცია, პროფკავშირის რეკომენდაციის საფუძველზე, იმ თანამშრომლებს, რომლებსაც შეუსრულდათ კომპანიაში მუშაობის 10, 15, 20 და ა.შ წელი, აჯილდოებს მატერიალური დახმარების ფონდიდან:

·10 წლის თავზე - 200 ლარის ოდენობით
·15 წლის თავზე - 300 ლარის ოდენობით
·20 წლის თავზე და ზევით - 400 ლარის ოდენობით

გარდაცვლილი თანამშრომლის ოჯახს კომპანია 500 ლარით დაეხმარება.

2009 წელს, კომპანიის გაერთიანებული პროფკავშირის მატერიალური დახმარების ფონდიდან გაიცა 87 425 ლარი

- 51 თანამშრომელს, შვილის შეძენასთან დაკავშირებით, გადაეცა 17 400 ლარი
- 271 თანამშრომელზე, დახმარების მიზნით, გაიცა 44 100 ლარი
- „ალდაგი BCI"-ს დამატებითი ფონდიდან თანამშრომელთა სამკურნალოდ დაიხარჯა 16 250 ლარი
- სპორტული ღონისძიებებისთვის გაიცა 5 150 ლარი
- თანამშრომელთა საგზურებზე დაიხარჯა 4 525 ლარი

ჯანდაცვა და უსაფრთხოება

კომპანიაში დასაქმებულთა ჯანდაცვა და უსაფრთხოება მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. ამიტომ, კომპანიის ადმინისტრაცია ცდილობს მაქსიმალურად განავითაროს შრომის უსაფრთხოების კულტურა და მოაგვაროს უწყვეტ რეჟიმში საქმიანობის შედეგად წამოჭრილი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხი.

დაზღვევის მაქსიმალურად გაუმჯობესებული პირობები

1 ივნისიდან ჩვენს თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს "ალდაგი BCI"-მ დაზღვევის 5 პაკეტი შესთავაზა. ამას გარდა, "ჯორჯიან უოთერ & ფაუერის" ადმინისტრაციამ და გაერთიანებულმა პროფკავშირმა "ალდაგი BCI" გარკვეულ შეღავათებსა და პრივილეგიებზე დაითანხმეს, კერძოდ:

1. სავალდებულო 9-ლარიანი დაზღვევის პაკეტში სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაც ჩაერთო, რომლის ამოქმედების შედეგად 60 წლამდე ასაკის თანამშრომლებს, ყოველთვიურად, 9 ლარის ნაცვლად 5,65 ლარის გადახდა უწევთ.

2. დამატებით, „ჯორჯიან უოთერ & ფაუერის" შუამდგომლობით, შეიქმნა ყოველწლიური 30 000 - ლარიანი საკუთარი ფონდი, რომლის გამოყენება ჯანმრთელობის გაუარესების ისეთ რთულ შემთხვევებზე მოხდება, რომელიც "ალდაგი BCI"-თან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

თავის მხრივ, "ჯორჯიან უოთერ & ფაუერის" ადმინისტრაციამ აიღო ვალდებულება და 300 ლარის ჩათვლით ხელფასის მქონე თანამშრომლებს დაზღვევის თანხას თავად უხდის. ასეთი თანამშრომელი კომპანიაში 400-ია.

სამედიცინო დაზღვევის გარდა, კომპანიის ადმინისტრაციამ სხვა კუთხითაც იტვირთა პერსონალის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ყველა თანამშრომელს უსასყიდლოდ გადასცა სამედიცინო შემოწმების ერთჯერადი 30-ლარიანი პაკეტი. 2010 წლიდან ყველა თანამშრომელს შეუძლია შეარჩიოს მისთვის საჭირო პაკეტი და სამედიცინო კონსულტაციისთვის „ღუდუშაურის კლინიკის" წამყვან სპეციალისტებს მიმართოს.

ახალი სპეც-ტანსაცმელი კომპანიის ტექნიკური პერსონალისთვის

კომპანიის ინჟინრებისა და ტექნიკური პერსონალისთვის კომპანიამ, 2009 წელს, ფრანგული წარმოების სპეც-ტანსაცმელი, სპეც-ფეხსაცმელი და ყველა საჭირო აქსესუარი შეიძინა. სპეც-სამოსსა და 20 დასახელების აქსესუარზე, რომელიც ISO-ს საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს, კომპანიამ 185 000 ლარი გამოყო. ამასთან ერთად, ტექნიკური პერსონალისთვის ზამთრის სპეცტანსაცმელიც დამზადდა - დათბილული ქურთუკები, კომბინეზონები და ქუდები, რისთვისაც კომპანიამ 115 000 ლარი გაიღო.

კომპანიის ტექნიკურ პერსონალს, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში, დარსა თუ ავდარში მძიმე სამუშაოს ეწევა, კომფორტული სპეც-ტანსაცმელი და აქსესუარები შრომის დაძაბულ რეჟიმს რამდენადმე მაინც უმსუბუქებს.

კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" დიდ ყურადღებას უთმობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. სწორედ ამიტომ, კომპანიამ თანამშრომლებისთვის პროფესიული გადამზადების არაერთი კურსი ჩაატარა:

- გადამზადდა 9 მემანქანე.5-კვირიანი ტრეინინგი ითვალისწინებდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მემანქანეების მომზადებას, პროფესიონალი ჩამბმელების სპეციალობით. კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადაეცათ.

- თანამედროვე დანადგარების პროფესიონალურად და სრულფასოვნად გამოყენების მიზნით, "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" ტექნიკური პერსონალი გადაამზადა. უახლესი ტიპის სადიაგნოსტიკო სპეც-ტექნიკაზე სამუშაოდ, მოსამზადებელი კურსი თანამშრომლებს ავსტრიელმა სპეციალისტმა ჩაუტარა. 5-დღიანი ტრეინინგის ფარგლებში, 11-მა მუშამ ახალი დანადგარის შესაძლებლობები და ფუნქციები საფუძვლიანად შეისწავლა.

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსა" და „საქართველოს უნივერსიტეტს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კომპანიის 15 თანამშრომელს ეკონომიქსისა და მარკეტინგის მენეჯმენტის დარგში ტრეინინგები ჩაუტარდა. ლექციებს „საქართველოს უნივერსიტეტიდან" მოწვეული პროფესორები კითხულობდნენ. 2-თვიანი კურსი დაეხმარა თანამშრომლებს, მიეღოთ ზოგადი განათლება, რომელსაც შემდგომ პრაქტიკაში გამოიყენებენ.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმა თანამშრომელმა 2009 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაიარა ტრეინინგი ფოტოგრაფიაში. კურსს პროფესიონალი ფოტოგრაფი კითხულობდა. შეძენილი ცოდნა თანამშრომლებს დაეხმარება კომპანიის საქმიანობის ამსახველი ხარისხიანი ფოტოარქივის შექმნაში, რომელსაც მთელი რიგი PR-აქტივობებისათვის გამოიყენებენ.

- "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" 12 თანამშრომლისთვის ჩატარდა 3-თვიანი ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი. პროექტი, კომპანიის იმ თანამშრომლებზე იყო გათვლილი, რომლებიც ინგლისურ ენას საშუალო დონეზე ფლობდნენ, კურსში კომპანიის თითქმის ყველა დეპარტამენტის თითო თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

ტრეინინგების შედეგია ის, რომ თანამშრომლებმა შეძლეს ცოდნის გაღრმავება და მოახერხეს იმ უნარების გაუმჯობესება, რაც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" ადმინისტრაცია თანამშრომელთა გადამზადებით ქმნის პროფესიონალ კადრებს, რომელთა დახმარებით სხვადასხვა პროექტის განხორციელებას გეგმავს.

ახალი სერვის-ცენტრები

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ გლდანი-ნაძალადევის, ისანი-სამგორისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონებში ახალი სერვის-ცენტრები გახსნა. ამით კომპანიამ ერთდროულად ორი მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვარა - მომხმარებლისთვის საუკეთესო მომსახურების გაწევა და თანამშრომლებისთვის სამუშაო პირობების რადიკალურად გაუმჯობესება.

განახლებულ და კომფორტულ რაიონულ სერვის-ცენტრებში ჩვენი თანამშრომლებისთვის შექმნილია საუკეთესო გარემო და ყველა პირობა, რომ ნაყოფიერად იმუშაონ და აბონენტებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურება გაუწიონ.

კომპანია, ეტაპობრივად, თბილისის ყველა რაიონული სერვის-ცენტრის მოდერნიზებას გეგმავს. ასეთივე კომფორტული ოფისები 2010 წელს დიდუბე-ჩუღურეთის და ვაკე-საბურთალოს რაიონებშიც გაიხსნება. მსგავსად აღჭურვილი და განახლებული სერვის-ცენტრების ამოქმედებით კომპანიის ადმინისტრაცია თანამშრომელთა სამუშაო პირობებსაც აუმჯობესებს და აბონენტთა კეთილგანწყობასაც იმსახურებს.

ახალი სპეც-ტექნიკა

2009 წელს კომპანიამ შეიძინა უახლესი ტიპის სადიაგნოსტიკო სპეც-ტექნიკა, რაც ფარული დაზიანებების ოპერატიულად და ზუსტად აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. მსგავსი სპეც-ტექნიკის ექსპლუატაციაში გაშვებით კომპანიამ ტექნიკურ სამსახურებს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა შრომა და დაუზოგა დრო.

ცვლილება სამუშაო განრიგში

2010 წლიდან, კომპანიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, 3-ცვლიანი სამუშაო განრიგი 4-ცვლიანით შეიცვალა. ცვლაში მომუშავე თანამშრომლები 24 საათის ნაცვლად 12 საათი იმუშავებენ და მომდევნო ცვლამდე დასვენებასა და ძალების აღდგენას უკეთ მოახერხებენ.

თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა

ტექნიკური პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კომპანიამ შეიძინა ევროსტანდარტების შესაბამისი ფრანგული და იაპონური წარმოების კოლექტიური და ინდივიდუალური დამცავი საშუალებები:

- საგზაო ბარიერები, ნიშნები და კონუსები
- მზის აკუმულატორები
- სახანძრო სტენდები ინვენტარით
- ელექტროუსაფრთხოების პლაკატები და ნიშნები
- აირანალიზატორები ჭებში მომუშავე პერსონალისთვის
- პირველადი სამედიცინო დახმარების აფთიაქები, რომლითაც ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება და ობიექტი აღიჭურვა.

ს ა ქ ლ ო რ ა ტ ო რ ო ს ა დ გ უ რ ე ბ ი ს თანამშრომლებისთვის კომპანიამ შეიძინა:

- ევროსტანდარტების შესაბამისი ფილტრიანი აირწინაღები

- ქლორის გაჟონვის შემთხვევების დროულად აღმოფხვრის მიზნით, დაამონტაჟა ხმოვანი სიგნალიზაციითა და სტაციონარული აირანალიზატორებით აღჭურვილი შუქურები, რაც მაქსიმალურად იცავს პერსონალს ავარიით გამოწვეული საფრთხეებისგან.

დ ა მ ც ა ვ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი ს შ ე ს ა ძ ე ნ ა დ დ ა დასამონტაჟებლად კომპანიის ადმინისტრაციამ, 2009 წელს, 83 000 ლარი გაიღო.

კომპანიის ადმინისტრაციას გადაწყვეტილი აქვს, უახლოეს მომავალში შეიძინოს ევროსტანდარტების შესაბამისი ტრანშეების სამაგრი ინვენტარის 4 კომპლექტი, რაც გაუადვილებს ტექნიკურ პერსონალს თხრილებში მუშაობას და მინიმუმამდე შეამცირებს მათი დაშავების საფრთხეს.

სავალდებულო სამედიცინო კონტროლი

კომპანიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, 2010 წლიდან, სპეც-კატეგორიის 600-მდე თანამშრომლისთვის, რომელსაც განსაკუთრებულად მძიმე, მავნე ან საშიშ პირობებში უწევს მუშაობა, პერიოდული სამედიცინო შემოწმების გავლა, სავალდებულო იქნება. სამედიცინო შემოწმების ხარჯებს მთლიანად კომპანია გაიღებს.

ტრანსპორტი

იმის გამო, რომ ლაბორატორიის სპეციალისტები სადღეღამისო რეჟიმში მუშაობენ და სასმელ წყალს უწყვეტად აკონტროლებენ, კომპანიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, 2009 წლიდან მათ სპეციალური ავტოტრანსპორტი ემსახურება. 2010 წლიდან, კომპანიის ადმინისტრაცია ავტობუსის შეძენას გეგმავს იმ მიზნით, რომ არაგვის ხეობასა და ჟინვალის კომპლექსზე დასაქმებულ პერსონალს მოემსახუროს. წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით, კომპანიის ავტობუსი თბილისიდან დილაადრიან გავა და თანამშრომლებს არაგვის ხეობასა და ჟინვალამდე მიიყვანს, გვიან საღამოს კი თბილისში დაბრუნდება.

განახლებული ლაბორატორია

2009 წელს კომპანიის ცენტრალური ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია ღრმაღელის საფილტრო სადგურის შენობაში გადავიდა, სადაც ლაბორატორიის სპეციალისტებს კეთილმოწყობილი გარემო, მთლიანად გადაიარაღებული და უახლესი ტექნიკითა და აპარატურით აღჭურვილი ახალი ლაბორატორია დახვდათ.

გათბობის ახალი სისტემები და ახალი საშხაპეები

კომპანიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, გათბობის ახალი სისტემები დამონტაჟდა და ახალი საშხაპეები მოეწყო:

- დოლაბაურის ქუჩაზე მდებარე წყალარინების საავარიო ბაზაში
- ფეიქრების ქუჩაზე მდებარე წყალარინების საავარიო ბაზაში
- საბურთალოს ქუჩაზე მდებარე მთავარი კოლექტორების შენობაში
- წყალსადენის ქუჩაზე მდებარე წყალსადენის საავარიო ბაზაში
- ორხევში, ბანეთიშვილის ქუჩაზე მდებარე წყალსადენის საექსპლუატაციო-საავარიო ბაზაში.

გათბობის სისტემების მონტაჟსა და საშხაპეების კეთილმოწყობას კომპანიის ადმინისტრაცია, ეტაპობრივად, დანარჩენ ობიექტებზეც გეგმავს.

შრომითი ხელშეკრულებები 3 წლის ვადით დაიდო

2009 წლის 1 მაისიდან, „ჯორჯიან უოთერ & ფაუერის“ ადმინისტრაციამ უკლებლივ ყველა თანამშრომელს ინდივიდუალური 3-წლიანი კონტრაქტები გაუფორმა.